



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000080455817620

№ ს-270

13 / თებერვალი / 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის განხილველი კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 თებერვლის #ს-413 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის განხილველი კომისიის შექმნის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 26 თებერვლის #ს-413 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„დ) კომისიის მდივანი - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მე-3 რანგის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თამუნა კიკილაშვილი, რომელიც სარგებლობს კომისიის წევრის სტატუსით და მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლებით. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს: კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას, კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე შემოსული კორესპონდენციის განხილვას, საპასუხო წერილების და კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტების მომზადებას“.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

